

Mastercard®-ის და საქართველოს ბანკის აქციის “დაიწყე სტუდენტურით სარგებლობა/ დაიწყე ახალი თავგადასავალი” პირობები და დებულებები

1. ზოგადი დებულებები

1.1. აქციის “დაიწყე სტუდენტურით სარგებლობა/ დაიწყე ახალი თავგადასავალი” (შემდგომში მოხსენიებული როგორც “აქცია”) პირობები და დებულებები განისაზღვრება აქციის ორგანიზატორის -საქართველოში სარეკლამო კომპანია „W“ LLC-ის (შემდგომში - „ორგანიზატორის“) მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ჭოველიძის ქუჩა, 11;

1.2. სარეკლამო აქციის პარტნიორი ბანკია სს საქართველოს ბანკი, (404882766), (შემდგომში — ‘ბანკი’), მისამართი: გაგარინის 29ა ქ. თბილისი, საქართველო, აქცია ტარდება ბანკის მიერ გაცემული ყველა სახის სტუდენტური Mastercard® ბარათის (შემდგომში - ბარათი) გამოყენებით, რომლებიც გამოიყენება POS-ტერმინალების მეშვეობით ანგარიშსწორებისას ან/და ელექტრონული გადახდებისას საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ.

2. აქციის მონაწილეები

2.1. აქციაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები (შემდგომში - მონაწილე):

2.1.1. 18 წელზე უფროსი ასაკის;

2.1.3. საქართველოს მოქალაქეები;

2.1.4. საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაქტის ან საიმიგრაციო ვიზის (D1) საფუძველზე მცხოვრები სრულწლოვანი პირები, ან პირები, რომელთაც მიეცა საქართველოში ცხოვრების ნებართვა;

2.1.5. ბანკის მიერ გაცემული სტუდენტური ბარათი Mastercard® აქტიური მფლობელები.

2.2. პირები, რომლებიც არ დაიშვებიან აქციაში მონაწილეობის მისაღებად:

2.2.1. პირები, რომლებიც არ პასუხობენ პირობებისა და დებულებების პ. 2.1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2.2.2. სს საქართველოს ბანკის თანამშრომლები;

2.2.3 აქციის ორგანიზატორის მუშაკები;

2.2.4. პირები, რომელთაც ეკრძალებათ აქციაში მონაწილეობის მიღება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. აქციის ჩატარების ვადები

3.1. აქციის ჩატარების ზოგადი ვადები: **2019 წლის 04 ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე.**

3.2. მონაწილეთა მიერ ტრანზაქციების შესრულების ვადა: **2019 წლის 04 ნოემბრის 00 საათსა და 00 წუთიდან 2019 წლის 22 დეკემბრის 23 საათსა და 59 წუთამდე.**

3.3. ჯილდოების „ვაუჩერი კომპანია WOLT-ისგან“ მიმღებ მონაწილეთა განსაზღვრა

იწარმოებს 2019 წლის 12 ნოემბრიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდში.

3.4.ჯილდოების „ვაუჩერი კომპანია WOLT-ისგან“ გადაცემა იწარმოებს 2019 წლის 12 ნოემბრიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდში;

3.5.ჯილდოების „ვაუჩერი კომპანია RG Group-ისგან“ მიმღებ მონაწილეთა განსაზღვრა იწარმოებს 2019 წლის 12 ნოემბრიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდში;

3.5. ჯილდოების „ვაუჩერი კომპანია RG Group-ისგან“ გადაცემა იწარმოებს 2019 წლის 12 ნოემბრიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდში.

3.6.მთავარი ჯილდოს - Ferrari World -ში საგზურის მიმღები მონაწილის განსაზღვრა იწარმოებს 2019 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდში.

3.7. მთავარი ჯილდოს - აბუ-დაბიში მოგზაურობის სერტიფიკატის (ორ ადამიანზე Ferrari world-ის ნახვით (და ასევე ჯილდოს ფულადი შემადგენელი - საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც იკავებს ორგანიზატორი გამარჯვებულის მაგივრად საქართველოს საგადასახადო სამსახურში შემდგომი გადახდისთვის) გამარჯვებული მონაწილისთვის გადაცემა იწარმოებს **2020 წლის 11 იანვრამდე** პერიოდში.

3.8. წინამდებარე წესებში მითითებული ყველა ვადა აქ და შემდგომში მოყვანილია საქართველოს დროით.

4. აქციის პირობები

4.1. აქციაში მონაწილეობის მისაღებად მონაწილეებმა უნდა შეასრულონ ტრანზაქციები - თითოეული არანაკლებ 15 (თხუთმეტი) ლარის თანხის - საქართველოს ბანკის მიერ გამოშვებული სტუდენტური ბარათი **Mastercard®**, ნებისმიერი POS-ტერმინალით ან ონლაინ, საქართველოში და საზღვარგარეთ.

4.2. ბანკი არ განიხილავს ტრანზაქციებს, რომლებიც უქმდება, ბრუნდება უკან ან სრულდება ნაღდი თანხის გამოტანით. აქციაში არ მონაწილეობს ტრანზაქციები, რომლებიც შესრულებული იყო აქციის ჩატარებამდე პერიოდში, და ასევე სტუდენტური **Mastercard®** ბარათის ანგარიშიდან ფიზიკური ან/და იურიდიული პირების ანგარიშებზე საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციებში შესრულებული ფულადი სახსრების გადარიცხვები, და ოპერაციები ახარტულ თამაშებთან დაკავშირებით.

4.3. ბანკს საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნით შეუძლია მონაწილის გარიცხვა, მის არაკეთილსინდისიერ მონაწილეობაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან მონაწილის მიერ აქციის ჩატარების წესების დარღვევის შემთხვევაში.

4.4. გამარჯვებულებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი ჯილდოები 2020 წლის 31 იანვრამდე.

5. აქციის საპრიზო ფონდო

5.1. აქციის საპრიზო ფონდს შეადგენს:

№	ჯილდო	ჯილდოს აღწერა	ჯილდოების რაოდ., ც.
1	ვაუჩერი Wolt	ელექტრონული ვაუჩერი კომპანია Wolt-ისგან	105 (ას ხუთი)
2	ვაუჩერი RG Group	ვაუჩერი კომპანია RG Group-ისგან	7 (შვიდი)

3	აბუ-დაბიში მოგზაურობის სერტიფიკატი ორ ადამიანზე *	<p>დუბაიში მოგზაურობის სერტიფიკატი Ferrari World-ის ნახვით.</p> <p>ღირებულებაში შედის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავიაგადაფრენა, ტრანსფერი: აეროპორტი – სასტუმრო – აეროპორტი (ორგანიზატორი იტოვებს ტრანსპორტის სახეობის არჩევის უფლებას), ცხოვრება არანაკლებ 3-ვარსკვლავიან *** სასტუმროში (ორგანიზატორი იტოვებს სასტუმროს არჩევის უფლებას); • ჯილდოს ფულადი შემადგენელი (საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც იკავებს ორგანიზატორი გამარჯვებულის მაგივრად საქართველოს საგადასახადო სამსახურში შემდგომი გადახდისთვის) 	1 (ერთი)
---	---	---	----------

5.2. ორგანიზატორს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ჯილდოებზე გადასახადების დარიცხვასა და გამოქვითვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ჯილდოების ფულადი ექვივალენტით შეცვლა გათვალისწინებული არ არის.

5.4. ჯილდოების მახასიათებლები განისაზღვრება ბანკის/ორგანიზატორის შეხედულებისამებრ, შეიძლება განსხვავდებოდეს სარეკლამო და საინფორმაციო მასალებში არსებული გამოსახულებებისგან და არ შეესაბამებოდეს მონაწილეთა/გამარჯვებულთა მოლოდინებს.

6. გამარჯვებულთა გამოვლენის წესი და პირობები

6.1. აქციის მონაწილე, რომელიც ბანკის მიერ გაცემული Express Mastercard® ბარათის მეშვეობით აქციის მთელი პერიოდის განმავლობაში შეასრულებს ყველაზე მეტი რაოდენობის აქციას (თითოეული მინიმუმ 15 ლარის ოდენობის), ჩაითვლება გამარჯვებულად (შემდგომში - გამარჯვებული).

პერიოდი	პერიოდის გამარჯვებულები ს განსაზღვრის თარიღი	აქციის პერიოდისთვის რეიტინგში მონაწილის ადგილი	ჯილდოს სახეობა
04.11.2019 - 10.11.2019	13.11.2019	1 ადგილი 2-16 ადგილი	1 ვაუჩერი 500 ლარის თანხაზე; 15 ვაუჩერი თითოეული 100 ლარის თანხაზე
11.11.2019 - 17.11.2019	20.11.2019	1 ადგილი 2-16 ადგილი	1 ვაუჩერი 500 ლარის თანხაზე; 15 ვაუჩერი თითოეული 100 ლარის თანხაზე
18.11.2019 - 24.11.2019	27.11.2019	1 ადგილი 2-16 ადგილი	1 ვაუჩერი 500 ლარის თანხაზე; 15 ვაუჩერი თითოეული 100 ლარის თანხაზე
25.11.2019 - 01.12.2019	04.12.2019	1 ადგილი 2-16 ადგილი	1 ვაუჩერი 500 ლარის თანხაზე; 15 ვაუჩერი თითოეული 100 ლარის თანხაზე
02.12.2019 - 08.12.2019	11.12.2019	1 ადგილი 2-16 ადგილი	1 ვაუჩერი 500 ლარის თანხაზე; 15 ვაუჩერი თითოეული 100 ლარის თანხაზე
09.12.2019 - 15.12.2019	18.12.2019	1 ადგილი 2-16 ადგილი	1 ვაუჩერი 500 ლარის თანხაზე; 15 ვაუჩერი თითოეული 100 ლარის თანხაზე
16.12.2019 - 22.12.2019	25.12.2019	1 ადგილი 2-16 ადგილი	1 ვაუჩერი 500 ლარის თანხაზე; 15 ვაუჩერი თითოეული 100 ლარის თანხაზე

6.2. თუ მონაწილეთა ტრანზაქციების მონაცემები ერთმანეთს დაემთხვევა, გამარჯვებული განისაზღვრება ტრანზაქციის შესრულების თარიღისა და დროის

მიხედვით. ანუ, გამარჯვებული გახდება ის, ვინც ბოლო ტრანზაქციას სხვებზე ადრე შეასრულებს.

6.3 მონაწილე უფლებამოსილია რომ მიიღოს ყოველკვირეული პრიზი (Wolt-ის ვაუჩერი, RG Group-ის ვაუჩერი) მხოლოდ ერთხელ, პრომო აქციის განმავლობაში

6.4. აქციის დამთავრების შემდეგ ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ გამოქვეყნდება ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge ლიდერი 16 პოზიციების რეიტინგების მითითებით.

6.5. აქცია ეფუძნება გარანტირებული მოგების პრინციპს: ყველაზე აქტიური მონაწილეები, რომლებიც კამპნიის განმავლობაში შეასრულებენ ყველაზე მეტი რაოდენობის ტრანზაქციას, მიიღებენ გარანტირებულ ჯილდოს.

6.6 აქციის მსვლელობისას გამოვლინდება 113 (ას ცამეტი) გამარჯვებული.

6.7 ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნით უფლებამოსილია განმეორებით განსაზღვროს მთავარი გამარჯვებული, თუ არსებობს ეჭვი ან/და მტკიცებულება, რომ გამარჯვებული გამოვლინდა რომელიმე ფალსიფიკაციის შედეგად.

6.8 გადახდად არ ჩაითვლება შემდეგი ტრანზაქციები: აზარტული თამაშების ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა, შიდა და გარე საბანკო გადარიცხვები, ტრანსპორტში თანხის გადახდა, ბანკომატიდან თანხის განაღდება, გადახდის გაუქმება, გადახდის მობრუნება, სწრაფი გადახდის აპარატზე კომუნალური გადახდების გადახდა.

6.9. მონაწილეები, რომლებიც შეასრულებენ ყველაზე მეტ ტრანზაქციას, გამოცხადდებიან გამარჯვებულად. გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება ყოველკვირეულად, აქციის ჩატარების ვადის განმავლობაში და გამოვლინდებიან თითოეული კვირის / აქციის ჩატარების პერიოდის დამთავრებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. სრული ინფორმაცია გამარჯვებულთა შესახებ გამოქვეყნდება აქციის დამთავრებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge

7. ჯილდოების მიღების წესი, ჯილდოების მიმღები მონაწილეების ინფორმირება

7.1.ჯილდოები გადაეცემა გამარჯვებულებს ჯილდოს მიღებაზე და აქციის ორგანიზატორისთვის საკუთარი თავის შესახებ ცნობების წარდგენაზე (გვარი, სახელი, მამის სახელი, საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი) გამარჯვებულის თანხმობის შემთხვევაში.

7.2. გამარჯვებული საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობასა და ნამდვილობაზე. დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო.

7.4. ბანკი/ორგანიზატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს გამარჯვებულს დამატებითი დოკუმენტები ჯილდოს გადაცემისას.

7.5.იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არასრული ან/და ბათილია, ან არსებობს ეჭვი, რომ დოკუმენტები გაყალბებულია, გამარჯვებული ავტომატურად დაკარგავს სტატუსს და გამოყვანილი იქნება კამპანიიდან.

7.6. თუ გამარჯვებულს ორგანიზატორის/ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ჯილდოთი სარგებლობის საშუალება არ გააჩნია, ორგანიზატორი/ბანკი გამარჯვებულს ანარაირ კომპენსაციას არ გადაუხდის.

7.7. თუ გამარჯვებულს ჯილდოს მიღების საშუალება/სურვილი არ გააჩნია, ორგანიზატორი/ბანკი გამარჯვებულს კომპენსაციას არ გადაუხდის.

7.8. იმ შემთხვევაში, თუ 2020 წლის 31 იანვრამდე გამარჯვებული თარიღების/სასტუმროების შერჩევას ვერ შეძლებს, ორგანიზატორი მისთვის ჯილდოს გადაცემაზე პასუხს არ აგებს.

8. სხვა პირობები

8.1. აქციის ჩატარების საკითხებთან დაკავშირებით ორგანიზატორის/ბანკის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ჩაითვლება საბოლოოდ და გამოიყენება ყველა მონაწილესთან მიმართებაში.

8.2. ორგანიზატორი და ბანკი უფლებამოსილნი არიან არ შევიდნენ მიმოწერაში ან რაიმე სხვა სახით ეკონტაქტონ მონაწილეებს, მათ შორის, მონაწილეთა შორის გამარჯვებულების განსაზღვრასთან დაკავშირებულ დავებში, წინამდებარე პირობებისა და დებულებების 3.4-ს შესაბამისად.

8.3 აქციის მონაწილეებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა აქციის პირობების შესაბამისად ყველა მოთხოვნის შესრულებაზე.

8.4. კამპანიაში საკუთარი მონაწილეობით ყველა მონაწილე სრულად ეთანხმება პირობებსა და დებულებებს, ესმის ეს პირობები და ვალდებულია დაიცვას ისინი.

8.5. ორგანიზატორს და ბანკს პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ მონაწილე მოცემული პირობებისა და დებულებების რომელიმე მოთხოვნას ვერ ასრულებს, რაიმე მიზეზების გამო აქციის ჯილდოს ვერ იღებს/იყენებს (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ფორს-მაჟორული გარემოებები, პირადი გარემოებები, რომლებიც ორგანიზატორზე/ბანკზე დამოკიდებული არ არის). ამ შემთხვევაში ორგანიზატორი/ბანკი მონაწილეს არანაირ კომპენსაციას არ უხდის.

8.6. მონაწილეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე.

8.7. აქციაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. აქციის ფარგლებში პერსონალური მონაცემების შეგროვება-დამუშავებაზე პასუხისმგებელია ორგანიზატორი. დამატებითი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ იხ. შეტყობინებაში აქციის კონფიდენციალობის შესახებ შემდეგ ლინკზე www.bog.ge პერსონალური მონაცემები, როგორცაა სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, მუშავდება მხოლოდ აქციაში მონაწილეობის, მოგების შესახებ გამარჯვებულთა შეტყობინების და ჯილდოების მიწოდების მიზნით. პერსონალური მონაცემები ინახება საქართველოში და არ გადაეცემა მესამე პირებს, ზემოაღნიშნული მიზნების გარდა. აქციაში მონაწილეობით, თქვენ ეთანხმებით თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენებას, როგორც ეს აღწერილია ზემოთ. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს უკან გაიწვიოთ თქვენი თანხმობა, მაგრამ აქციაში მონაწილეობას ვერ შეძლებთ. აღნიშნული აქციის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ბანკი/ორგანიზატორი მოქმედი კანონმდებლობითა და რეგულაციებით ნებადართულ ფარგლებში, დაუყოვნებლივ შლის თვითონ ან მოითხოვს პირადი ინფორმაციის შემცველი მასალების და ყველა მათი ასლის წაშლას, რომელიც არსებობს მის განკარგულებაში ან ნებისმიერი მესამე პირის მფლობელობაში, რომელთაც მან პირადი ინფორმაცია გადასცა, თუ ასეთი არსებობს, და წარუდგენს გამარჯვებულებს / მონაწილეებს მათივე თხოვნით წერილობით დადასტურებას იმისა, რომ პირადი ინფორმაცია განადგურდა.

8.8.ჯილდოს მიღებისას, გამარჯვებულები გასცემენ ორგანიზატორს საკუთარ თანხმობას მასზედ, რომ გამარჯვებულის ფოტოსურათები/გვარი,სახელი, მამის სახელი და ვიდეომასალები გამოყენებული იქნება ნებისმიერი სარეკლამო მიზნით, ნებისმიერ მედია და სოციალურ არხებზე რაიმე დამატებითი თანხმობის გარეშე.

9. აქციის საინფორმაციო უზრუნველყოფა

9.1. აქციის პირობების გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge

9.2. ორგანიზატორი/ბანკი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები აქციის ჩატარების პირობებში ბანკთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. აქციის მონაწილეებს უნდა ეცნობოს ასეთი ცვლილებების შესახებ შეცვლილი პირობების ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge გამოქვეყნების გზით.